საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა [illegible] პარტია

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 227

პარასკევი, ივნისის 23 ს 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს და ხვალ**

აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით არსებული

**დრამატიული სტუდიის**

## ლატარიის დღეა

ვისაც უყვარხართ ქართული თეატრი და გწადიათ მისი განახლება და წარმატება ხელი შეუწყვეთ ლატარიის ბილეთების შეძენით ერთად-ერთ სასცენო ხელოვნების სკოლას: ზემოხ ხსენებულ დრამატიულ სტუდიას.

ვ ი ს ა ც ვ ი ნ დ ა თ

**მილიონების მოგება**

შეიძინეთ აგრეთვე ჩვენი ლატარიის ბილეთი

თითო ბილეთი ღირს 10.000 მანეთი,

**მ ო ი გ ე ბ თ**

ერთი 25,000,000 მან. | მესამე 5,000,000 „

მეორე 10,000,000 „ | მეოთხე 1,000,000 „

გათამაშება ლატარიისა მოხდება ამ წლის 1-ელ ოქტომბერს რუსთაველის თეატრში (ტფილისში) საგანგებო კომისიის მიერ ქართველ ხელოვანთა მთავ. კომ. თავმჯდ. კ. მარჯანიშვილის თავმჯდომარეობით. პასუხისმგებელი გამგე ლატარიისა—სტუდიის ხელმძღვ. აკ. ფაღავა.

**საქართველოს წითელი ჯვრის**

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს

## მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 2 ივლისს, დილის 11 საათზე, დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

ქართულ წითელ დაშქ.ის (ცენტრალურ კლუბში (ყოფ. ქართული კლუბი)

დ ღ ი უ რ ი წ ე ს რ ი გ ი:

1. მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. 1922 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
4. წესდების ზოგიერთი მუხლის შესწორება.
5. მთავარ სამმართველოს დამატებით წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების 73 პარაგრაფისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველდღე 11 ს—დ ნაშუადღევის 1-ლ ს—მდე, გარდა კვირა-უქმე დღისა, წითელი ჯვრის კანცელარიაში (თამამშევის შეს. № 3) საწევრო გადასახადი 10.000 მან. № 265 2—1

**ქალაქ ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება**

ამით აცხადებს, რომ სახლის მესაკუთრეთა

**რეგისტრაცია გაგრძელებულია**

ა. წ. 15 ივლისამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო.

3—1 საადგილ-მამულო განყოფილება

## განიარაღების საკითხი

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ახალი წინადადებით მიმართა პოლონეთის, ფინეთის, ესტონიის და ლატვიის მთავრობებს გამოგზავნონ თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენელნი კონფერენციაზე, სადაც რუსეთთან ერთად განხილული იქნება საკითხი ამ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალების პროპორციონალური შემცირების შესახებ.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება გენუაში ამხ. ჩიჩერინმა გარკვევით წამოაყენა საკითხი საერთო განიარაღების შესახებ და აღნიშნა, რომ ერთი გზა მსოფლიოს ეკონომიური აღდგენისა არის შეიარაღებულ ძალების შემცირებაში. მსოფლიო იმდენ ძალასა და ენერგიას ხარჯავს ამ დარგში, რომ მას აღარ რჩება საშუალება ჯეროვნად გამოიჩინოს ეკონომიურ აღორძინების საქმეში. გენუას კონფერენციაზე საკითხის ასე დაყენებამ დიდი აღიაქოთი გამოიწვია და განსაკუთრებით აღელვა საფრანგეთის წარმომადგენელი ბ. ბარტუ, რომელმაც გაილაშქრა ჩიჩერინის წინადადების წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვა ასეთი კითხვები არ ყოფილიყო წამოყენებული კონფერენციაზე. თანახმად კანის რეზოლუციისა, გენუა ვერ შეეხებოდა განიარაღების საკითხს; საფრანგეთის იმპერიალისტები ვერ დასთანხმდებოდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირებას, ამიტომ გენუას კონფერენციიდან მოხსნილი იქმნა ეს საკითხი, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა და რუსეთის საბჭოთა დელეგაციის განცხადებამ თავისი შეურყეველი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს ძალებზე. მუშათა კლასმა დაინახა, რომ ერთად ერთი ძალა, რომელიც გულწრფელად ფიქრობს მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებაზე და ახალ სისხლის მღვრელი ომების თავიდან აცილებაზე, არის საბჭოთა რუსეთი, მისი პოლიტიკა დღეს საერთო მშვიდობიანობისაკენ არის მიმართული და ასეთი პირობების შესაქმნელად ის ყველაზე უფრო რადიკალურსა და შესაფერის საშუალებებს მიმართავს. მეორეს მხრით საბჭოთა რუსეთის ასეთმა განცხადებამ დიდი გავლენა მოახდინა თვით კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ევროპის იმპერიალისტები არწმუნებდნენ ყველას, რომ ბოლშევიკური მთავრობა დაუდგომელია, მას ომი ენატრება და დღეს თუ არა ხვალ იგი რომელიმე მხრით დაესხმება თავზედ. ასეთი განცხადებით გამოვიდა, როგორც მკითხველსაც ემახსოვრება ბ. არისტიდ ბრიანი ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელსაც უნდა გაერჩია განიარაღების საკითხი. ერთ მთავარ მოტივად განიარაღების წინააღმდეგ ბრიანს საბჭოთა რუსეთის მრავალ მილიონიანი წითელი არმია მოჰყავდა, რომელიც, მისი განმარტებით, საფრთხეს უქმნიდა მთელს ევროპასა და კერძოთ საფრანგეთს. გენუას კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა საკითხი რადიკალურად დასვა და მოითხოვა საერთო განიარაღება. ამით მან ნათელყო მთელი სიცრუე და სიყალბე ბრიანის განცხადებისა და მისი იმპერიალისტური სულისკვეთება.

გენუა მარცხით დამთავრდა და მან არც ერთი სადღეისო საკითხი ვერ გადასწყვიტა. მაგრამ ეს მარცხი იყო მოსალოდნელი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ანტანტა ფაქტიურად დარღვეულია და ყოფილ მოკავშირეებს დღეს ვერ მოუძებნიათ შეთანხმებული ხაზი. საერთაშორისო ომმა და რუსეთის დიდმა რევოლუციამ ძლიერ შეარყია ძველი არსებული წონასწორობა. ძველი განწყობილება დაირღვა და დღეს საქმე გვაქვს მსოფლიოს ახალ გადაჯგუფებასთან. ამ გადაჯგუფების პროცესში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები რადიკალურად დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ევროპის კონტინენტზე ინგლისი და საფრანგეთი თამაშობენ [illegible] როლს და მათი ინტერესები ხდება შეურიგებელი. მეორეს მხრით ამერიკა გამოვიდა თავისი გიგანტიური ძალებით და მას სურს შეარყიოს მსოფლიოს ძველი ინგლისის ჰეგემონია. არსებითად ინგლისისა და ამერიკის ინტერესების დაპირისპირება ჰქმნის თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკას. ამერიკას ევროპის კონტინენტზე ინგლისის საწინააღმდეგო კოზირად ჰყავს საფრანგეთი. ინგლისი კი ამერიკის წინააღმდეგ აღიზიანებს იაპონიას. ასეთს საერთაშორისო კონიუნქტურის ხანაში შეუძლებელი ხდება განიარაღება. ვაშინგტონის კონფერენციამ ნაცვლად განიარაღებისა, დაადგინა შეიარაღება და დიდი სახელმწიფონი შეურჩეველის ენერგიით იარაღდებიან. როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაზე. ვინ არ იცის ის გიგანტიური ზრდა საზღვაო ძალების, რომელიც სწარმოებს ამერიკასა და ინგლისში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ ომამდე შეიარაღებული ძალები მთელ მსოფლიოში 7 მილიონამდე აღწევდა, დღეს ეს ციფრა საკმაოდ გაიზარდა და 11 მილიონზე მეტს შეადგენს. ასეთს პირობებში არის დღეს შეიარაღების მხრით მსოფლიო.

კაცობრიობამ გადაიტანა უდიდესი ომი, რომელმაც ძირიანად შეარყია ეკონომიური ცხოვრება და დასცა მისი საწარმოო ძალები; მსოფლიოს მეურნეობა განადგურდა და მას აღარა აქვს საშუალება ახალი აღორძინებისათვის. დღეს კვლავ ახალი ომების შესაძლებლობის წინაშე სდგას კაცობრიობა, კვლავ საერთაშორისო შეტაკებანი ემუქრება მსოფლიოს. კაპიტალისტურმა მსოფლიომ მრავალი კონფერენციები მოიწვია, მრავალი ენერგია დახარჯა, მაგრამ მან ვერ შესძლო გამოენახა არეულ მსოფლიოს დამამშვიდებელი საშუალებანი და იგი კვლავ სისხლის ზმორების მოლოდინში იმყოფება.

ასეთს პირობებში საბჭოთა რუსეთი ენერგიულად გამოდის და განიარაღებისაკენ მიუთითებს მთელს მსოფლიოს. მსოფლიოს ეკონომიური აღორძინება და მშვიდობიანობის აღდგენა შეუძლებელი არის განიარაღების გარეშე. შეიარაღებულ ძალების ყოლა და „დამრღვეველ მასალების" შესახებ ზრუნვა თავისთავად აფერხებს წარმოების განვითარების საქმეს. მსოფლიოს უდიდესი ენერგია დღეს არა აღმშენებლობით საქმისათვის იხარჯება, არამედ გამანადგურებელ იარაღების შექმნისა და შეიარაღებულ ძალების რჩენისათვის. ნაცვლად საწარმოო იარაღების შექმნისა, იქმნება გამანადგურებელი იარაღები, ტანკები, შემხუთველი გაზები, შორს მტყორცნელი ზარბაზნები და სხვა.

საბჭოთა რუსეთი ყოველი ფეხის ნაბიჯზედ მიუთითებს ამ ძირითად საშიშროებაზე და ამჟღავნებს კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკის სრულს შეუსაბამობას. საერთაშორისო მაშტაბში შეუძლებელი შეიქმნა საკითხის დასმა, ვაშინგტონმა და გენუამ ამ მხრივ სრული კრახი განიცადეს. ჰააგის თათბირი არ იძლევა არავითარ შანსს ამისათვის.

დარჩა სეპარატიული გზა. დღევანდელ ნოტას საბჭოთა რუსეთისას მიზნად აქვს პროპორციონალურად ძალების შემცირების შესახებ მოელაპარაკოს მეზობელ რესპუბლიკებს პოლონეთს ლატვიას ესტონიასა და ფინეთს.

ამ სახელმწიფოთა შორის, პოლონეთი და ფინეთი დაუძინებელნი მტრები არიან ს. ბ. რუსეთის. პოლონეთი, რომელიც სრული მონამორჩილი შეიქმნა საფრანგეთის, დღეს ვერ ცხრება და კვლავ ავანტიურისტულ პოლიტიკას აწარმოებს. სამხედრო წრეები პანიკას ჰქმნიან რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით და სურთ ახალ ავანტიურაში ჩაითრიონ პოლონეთის მშრომელი ხალხი. აქ საფრანგეთის ინტრიგები უფრო მოქმედებენ, ვინემ სხვა გონიერი პოლიტიკა.

საბჭოთა რუსეთი განმეორებით ადასტურებს თავის მშვიდობიან მიზნებსა და მოუწოდებს პოლონეთსა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებს პროპორციონალურად ძალების შემცირების შესახებ.

## ნარკვევი

### გენუას შედეგები.

ქართველ ემიგრანტთა ორგანო „თავისუფალი საქართველო" (№ 22) მოწინავე „სადღეისო" წერილში ეხება იმ განწყობილებას, რომელიც გამოაშკარავდა გენუას კონფერენციის პროცესში და მის შემდეგ დიდ სახელმწიფოთა შორის. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ ანტანტის წევრთა შორის დღეს აღარ არის სრული თანხმობა და ფაქტიურად ეს კავშირი დაირღვა; ინგლის-საფრანგეთის ინტერესები რადიკალურად დაუპირდაპირდა ერთი მეორეს და მათ შორის შეუძლებელი ხდება შემათანხმებელი ხაზის მოძებნა. ტფილისელი მემარჯვენეები ამ ფაქტის აღნუსხვას ბოლშევიკურ რადიო-[illegible] უძღვნიდნენ და ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თანხმობაა და ისინი შეერთებულის ძალით მოვლენ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებისაგან განსათავისუფლებლადო, დღეს მათი საზღვარგარეთელი ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს ანტანტის ფაქტიურ დაშლასა და ახალ ძალთა განწყობილების შექმნას მსოფლიოში. მოგვყავს ეს წერილი სავსებით:

„გენუას კონფერენციამ ვერ მიაღწია თავის მიზანს. მან ვერ მოგვცა ვერც ზავი, ვერც ეკონომიური აღდგენა. მაგრამ მან გამოაშკარავა სრულიად ახალი სულისკვეთება ევროპის სახელმწიფოებში და ახალ ძალთა განწყობილებას ჩაუყარა საფუძველი. ძველი ანტანტა დაირღვა ფაქტიურად: ორი მის მთავარ მონაწილეთა—ინგლისსა და საფრანგეთს შორის უდიდესი და ულრმესი ინტერესთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა სწორედ იმ საკითხში, რომელთა გადაჭრას შეეძლო ევროპისთვის რამდენიმეთ მყუდრო ცხოვრების მოტანა, ესაა საკითხი რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის. მეორდება ის, რაც ბალკანეთის ომის შემდეგ მოხდა ამ კუთხის პატარა სახელმწიფოებს შორის. ნადავლის გაყოფაზე აიშალენ ომის მეგობრები და ერთმანეთს უსასტიკესად გადაეკიდნენ. ამას მოყვა მაშინ ახალი ომი და ბულგარეთის დამარცხება. რა მოხდა დღეს? ნუ ვიკისრებთ წინასწარმეტყველებას. თუმცა ეხლა არაა უნდა ითქვას, რომ ჰააგაში ისეთი სუნი ტრიალებს, ნერვები იმ ზომაზე დაჭიმულია, ერთმანეთისადმი დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავება იმ წერტილამდეა მიღწეული, რომ ახალი კონფლიქტების აღმოცენება დიდი საკვირველება არ იქნებოდა. ლლოიდ-ჯორჯი უკვე იწუქრებოდა რუსეთის ხალხის მოთმინების ფიალის ავსებით, თუ მას მალამო არ მოეცხო. და მართლაც მთავარი საფრთხე მშვიდობიანობას რუსეთიდან მოელის. აქ არის ბლომად დაგროვილი ასაფეთქებელი მასალა, ხალხის სასოწარკვეთილების და წითელი ჯარის ავანტიურისტული სულისკვეთების სახით. და სწორედ ამ მთავარ კერას შესაძლებელ უთანხმოებისას, ვერ გაარკვია თავი გენუამ; ვერც სიტყვა მოუნახა, ვერც მიიღო, ვერც უარყო. ევროპას ერთი გაერთიანებული აზრი ამ საკითხზე არ აღმოაჩნდა. პოზიცია საფრანგეთის—რომელიც მკაცრად უარყოფითია ბოლშევიკებისადმი და პოზიცია ინგლისის—რომელიც მზადაა იცნოს ისინი, არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მათ შორის შემარიგებელი ხაზი არ მოიპოვება.

და ეს წინააღმდეგობა ქმნის ევროპის ძალთა გათიშვას, დაყოფას და მათ დასუსტებას, ხოლო ეს გამოსადეგია რუსეთისა და გერმანიისათვის, რომელთაც საშუალება ეძლევა, განსაკუთრებით უკანასკნელს, ეს წინააღმდეგობანი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ რუსეთის უშრეტელი სიმდიდრე, განსაკუთრებით ნავთი, მეტისმეტი მიმზიდველი აღმოჩნდა ევროპის და ამერიკის სახელმწიფოთათვის და ის იძულებული იქნება ამ წინააღმდეგობებს დაუწყოს, რადგან მისი მთავარი წყლული გენუამ მოუშუშებელი დასტოვა, ეს არის ფინანსების და ეკონომიური აღდგენის საკითხი, რომელიც გენუამ ვერ გადასჭრა.

გენუამ ამ მხრივ განსაცვიფრებელი როლი ითამაშა ევროპის ცხოვრებაში. მან ყველას იმედი გაუცრუა. ლოიდ ჯორჯს, რომელმაც ეხლა არაა კაპკანი წაგო საფრანგეთს, რომელსაც ინგლისი თითქმის გადაეკიდა. რუსეთს, რომელსაც იმედი ჰქონდა ოქროების ჯიბეში ჩაჩხრიალების სრულიად გაუცრუვდა ევროპის მცირე სახელმწიფოებსაც, რომელთაც დამშვიდებული ევროპა ენატრებათ. მოიგეს თუ მოგება ეთქმის ისევ ზოგიერთმა კაპიტალისტებმა, რომელთაც გენუის კულისებში გამართეს ვაჭრობა ბოლშევიკების აგენტებთან და რუსეთის სიმდიდრის ამა თუ იმ წყაროზე ბრჭყალები მოიკიდეს. დღეს დღეობით ამ სიმდიდრეთა დამუშავებაზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ კაპიტალისტებისთვის მაინც მოგებაა. თუნდაც უფლების მოპოვება დიდი რუსეთის ბუნებრივ სიუხვეზე, რომელსაც სხვა მაინც ვერ რა წაართმევს. ამრიგად ეკონომიური აღდგენა გადაიქცა ეკონომიურ არევ-დარევად, მშვიდობიანობის ლოზუნგი ახალ კონფლიქტების წყაროდ და საყოველთაო დამეგობრება საყოველთაო მტრობად. გუშინდელი მეგობრები აიშალნენ, ახალნი ვერ მორიგდნენ. აი ასეთია გენუის კონფერენციის შედეგები.

მაგრამ ამ საერთო ქაოსში მაინც ისახება ახალი მოსალოდნელი ძალთა ურთიერთობა; ესაა ინგლისის და იტალიის გადახრა გერმანია რუსეთისაკენ, ამ ორი უკანასკნელის მჭიდროთ დაკავშირება, მცირე ანტანტის წევრთა შორის ზოგიერთი წევრების შერყევა, და მეორე მხრით საფრანგეთ ამერიკა და საფრანგეთ-იაპონია—მცირე ანტანტის დახლოვება. მაგრამ ყველა ეს დღეს მხოლოდ ჩანასახია და მათი განვითარება შემდეგი ისტორიული მსვლელობის საქმეა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს გამყოფი ხაზი სწორედ არ საზღვარზე გაივლის და მომავალში ახალი ცვლილებები არ იყოს მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ ძალთა გადაჯგუფება უფრო დროებით ინტერესებს ემყარება, ვინემ საერთოს და მუდმივს. ამიტომ ამ გადაჯგუფების მონაწილეთა მისწრაფება ახალი მოკავშირეების შოვნის და მოწინააღმდეგისთვის ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩამოშორების—აი რა იქნება მთავარი საბრძოლველი საგანი უახლოესი პოლიტიკური მუშაობისათვის.

ამ ძალთა ჭიდილში კავკასიის ნავთი და კავკასიის ერები მცირე, უმნიშვნელო ძალას არ წარმოადგენენ და მათი წარმომადგენლების მოვალეობაა მათ სათანადო და ხაიმედო ადგილი მოუძებნონ, რომელიც უზრუნველყოფს მათს არსებითს ინტერესებს განვითარებისა და დამოუკიდებლობის საკითხში. ეს იქნება ჩვენი მორიგი ამოცანა".

## პრესა

ივნისის 20 ს ტფილისში გამოვიდა პირველი ნომერი ყოველ-დღიური გაზეთის „Заря Востока"-სი. (აღმოსავლეთის განთიადი). გაზეთი დიდი ფორმატისაა, მოწინავეში აღნიშნულია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და გამარჯვება როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო და სამეურნეო ფრონტებზე, რაც თავდებია იმისა, რომ განთიადის [illegible] შეანათებს აღმოსავლეთში ც და გამოაღვიძებს საუკუნოებით ჩაგრულ მასებს.

შემდეგ წერილში ამხ. მიასნიკოვი ეხება ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს და თვის არსებობას და უარყოფს ზოგიერთ უკმაყოფილო ელემენტებს, რომელნიც უკმაყოფილონი ყოფილან იმით, რომ ჯერ კიდევ არ გაერთიანებულა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო კომისარიატები. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ საქმეში აჩქარება არ შეიძლება, რომ ფედერაციის განხორციელება მეტად სერიოზული საქმეა, რომელსაც ესაჭიროება სისტემატიური

შრომა და მზადება. ამასვე ვამბობდით ჩვენც, სხვათა შორის, თავის დროზედ.

შემდეგ წერილში ამხ. რუდაკოვი განმარტავს გაზეთის დანიშნულებას. „პირველი და უმთავრესი, რაც მოეთხოვება გაზეთს, ეს არის „რომ გაზეთი იყოს შინაარსიანი და საინტერესო. გაზეთმა უნდა გააშუქოს და განმარტოს ყველა საარსებო საკითხები, რომელიც ცხოვრობენ მუშები და გლეხები. გაზეთი უნდა იყოს ახალი, მკაფიო და მკვეთრი. მეტი საქმიანი და სერიოზული კრიტიკა, ნაკლები სქოლასტიკა და სახაზინო ოპტიმიზმი, რომელიც ნიქაჩეს ჩვენ გაზეთებს ნაკლები ტრაფარეტი და სახაზინო ზერელე კილო. გაშუქება ყველა იმ საკითხებისა, რაც აღელვებს მუშათა და გლეხთა მასებს."

მაგრამ ასეთი გაზეთის შექმნას ხელს უშლის ჩვენი დაწესებულებების და უწყებათა კარჩაკეტილობა, ჩინურ კედლებში მომწყვდევა. „კიდევ მეტი, როცა პრესა შეუდგება დაწესებულებათა მუშაობის ზოგ მხარეთა კრიტიკულ შეფასებას და უჩვენებს დეფექტებს, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანო პირზე დორბლით იწყებს ყვირილს, რომ პრესა „ძირს უთხრის საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს" და სხვა. პრესას კინაღამ კონტრ-რევოლუციურ მოქმედებაში სდებენ ბრალს."

მაგრამ თვით დაწესებულებათა და მშრომელთა ინტერესები მოითხოვს, რომ აღნიშნულ იქნას ყოველი ნაკლი და შეცდომა მუშაობაში, რათა საერთო ძალით ის გამოვასწოროთ. ამ ერთად ერთ სწორ გზაზედ ვერ დამდგარა ჯერ საბჭოთა დაწესებულებები. განა გაზეთი იმით დაინტერესებს ფართო მასებს, რომ მუშაობის მარტო დადებითი მხარეები აღნიშნოს და აქოს და უარყოფითზედ კი კრინტი არ დასძრას?

„ჩვენ დაწესებულებებს კი ძალიან უყვართ, როცა მათ მხოლოდ აქებენ და ძალიან არ უყვართ, როცა საქმიან და სამართლიან კრიტიკას უკეთებენ."

შემდეგ ავტორი ადარებს ბაქოელ გაზეთს—Бакинский Рабочий—და ტფილისელ—Правда Грузия ს. პირველს ყველა აქებს, მეორეს კი აგინებს. „იმიტომ რომ ბაქოელმა გაზეთმა შესძლო და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გაანგრია ის ჩინური კედლები, ზევით რომ დავასახელეთ" ეს ყოფილა საერთო აზრი ბაქოს პრესის ყველა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა გაზეთების რედაქტორთა თათბირის.

მეტი საქმიანი და სერიოზული, მაგრამ სასტიკი კრიტიკა,—მოითხოვს ავტორი წერილის დასასრულს. ყოველივე ეს უდავო ჭეშმარიტებაა. პრესამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ყოველივე ნაკლს და დეფექტებს. ესაა მისი დანიშნულება, ამითაა ის ძლიერი. „ტრიბუნა" არა ერთხელ დაისაჯა ასეთი კადნიერებისათვის, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას გააქვს. ეხლა თვით ფედერალური საბჭოს ორგანო მოითხოვს სასტიკ კრიტიკას. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი საჭიროება საკმაოდ შეგნებულია.

დასასრულ ერთი შენიშვნა: „Заря Востока" გამოცხადებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკავშირო საბჭოს ორგანოთ და ამავე დროს ორგანოთ რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის რაიკომისა. ე. ი. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას ხელმძღვანელობს რუსეთის მმართველი პარტია. როგორ უდგება ეს ჩვენს დამოუკიდებლობას? ძალიან საინტერესო საკითხია და კარგი იქნება თუ „Заря Востока" გაგვიმარტავს.

# ტფილისის არჩევნები.

21 ივნისს 3 საათზე შესდგა მრავალ-რიცხოვანი კრება რკინის გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ტფ. საბჭოს დელეგატების ასარჩევათ. მოხსენება გააკეთა ამხ. ივანოვ-კავკასკიმ და ამხ. ეფ. ჩახუნაშვილმა. მომხსენებლები შეეხენ ტფილისის საბჭოს მუშაობას ქალაქის მეურნეობას აღორძინებაში და საზოგადოთ საბჭოთა ძალა-უფლების შემოქმედებას. ამხ. ჩახუნაშვილი შეეხო აგრეთვე იმ დიდ ეროვნულ სამუშაოს, რომელიც უდევს წინ გარდასაწყვეტათ მომავალ საბჭოებს. ამხ. ჩახუნაშვილმა სთქვა: მოსაწესრიგებელია და სათანადო ყურადღების ღირსი ქართული ენის საკითხი საბჭოთა საქართველოში, ბევრ ფიქრსა და შრომას მოითხოვს ტერიტორიის საკითხი. რომელიც მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიას არ მიაჩნია სასურველად გადაჭრილად. შემდეგ ვრცლად შეეხო ამ საკითხს და მოუწოდა მომავალ დელეგატებს ყოველივე აღნიშნული იქონიონ მხედველობაში. აირჩიეს დელეგატები: ერთი მემ. სოც.-ფედ. ამხ. ვასილ პაატაშვილი, დანარჩენი კომუნისტები.

—

21 ივნისს საღამოს 5 საათზე შედგა მკერავთა საარჩევნო კრება. მოხსენებები იქნა გაკეთებული: ქართულად, რუსულად და სომხურ ენებზე, მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ცარდანინი (კომუნისტი), ამხ. მუჯირანაძე (კომ.) და ამხ. ეფ. ჩახუნაშვილი. აირჩიეს კომუნისტები.

—

21 ივნისს 7 საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში მოწვეულ იქნა სახალხო კვების მუშათა კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ციცქიძემ (კომ.) და ამხ. ეფ. ჩახუნაშვილმა. გამოვიდა უპარტიო მუშა ამხ. ჯიქია, რომელმაც სრულიად მისაღებად ცნო საბჭოთა ძალა-უფლება, აღნიშნა მისი დადებითი მუშაობა, მაგრამ მიუთითა შეცდომებზეც, რომელიც მომავალმა საბჭომ უნდა გამოასწოროს

ამოირჩიეს 11 დელეგატი. ერთი მემ. სოც.-ფედ. ამხ. ეფ. ჩახუნაშვილი და 10 კომუნისტი.

ოთხშაბათს, ივნისის 21-ს დილის 9 საათზე გაიმართა მკერავთა კავშირის მუშა ქალების საზოგადო კრება. კრება იყო მრავალრიცხოვანი. დღიურ წესრიგს შეადგენდა დეპუტატების არჩევა ტფილისის საბჭოსათვის. კრება გახსნა ამხ. ასრიბეკოვმა. ილაპარაკა არჩევნების მნიშვნელობაზე ამხ. ფირალოვმა (ქართულად) მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ქართულსა და რუსულ ენაზე ამხ. ერ. ხოფერიამ. კომპარტიის სახელით ილაპარაკა სომხურ ენაზე ამხ. ვარტაპეტიანმა. კრება დიდის ყურადღებით უსმენდა ორატორებს. ერთხმად არჩეულ იქმნა საბჭოს წევრებათ 3 კომუნისტი და 1 თანამგრძნობი.

—

21 ივნისს საღამოს 5 საათზე 26 კომ. კლუბში შესდგა მრავალ-რიცხოვანი კრება მეორე რაიონის [illegible], ქალაქის კომუნალური განყოფილებისა და წყალსადენის მუშების ტფილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევად. მემარცხენე სოც. ფედ. სახელით ილაპარაკა ამხ. მ. სეფერთელაძემ, რომელმაც გააცნო კრებას ყოფილი საბჭოს აღმშენებლობითი მუშაობა და მოუწოდა მუშებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

ილაპარაკა აგრეთვე მემარცხენე ესერების წარმომადგენელმაც. არჩეულ იქნა 4 დეპუტატი, ამათგან 2 კომუნისტი, 1 თანამგრძნობი და 1 უპარტიო.

—

ივნისის 21, საღ. 3 საათზე, ნაძალადევში გაიმართა მრავალ რიცხოვანი კრება ტყავის ქარხანა „სოგორის" ხაშტარიას სეპნის ქარხნის, მე 6 კომის. საკონსერვო ქარხნის და ნაძალადევის სხვა წვრილ ქარხნების მუშებისა. კრება გახსნა ამხ. ასრიბეკოვმა. მან განუმარტა კრებას ტფილისის საბჭოს მუშაობა ნახევარი წლის განმავლობაში.

—

ამავე დღეს, შუადღის 12 საათზე, ავლაბრის თეატრში შესდგა ყოფ. დარპანიანის და ვაგანიანის სათამბაქო ქარხნის მუშების კრება. კრება გახსნა ამხ. ასრიბეკოვმა, რომელმაც განუმარტა დამსწრეთ კრების მიზანი. მემარცხენე სოც.-ფედ. სახელით ილაპარაკა ამხ. ერ. ხოფერიამ. ილაპარაკა აგრეთვე მუშა ქალმა ამხ. იესაიანმა (სომხ.) ერთხმად არჩეულ იქნა 4 დეპ. ოთხივე კომუნისტი.

—

ხუთშაბათს ივნისის 21 შესდგა ხეტყის სამხედრო ქარხნის მუშების საერთო კრება ტფილისის საბჭოს დელეგატების ასარჩევად. ჩვენი პარტიის სახელით გამოვიდა ამხ. თავზარაშვილი, რომელიც აღნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის ამაღლებას საერთაშორისო მაშტაბში და ქართული საზოგადოებრივი აზრის შეცვლის შესახებ საბჭოთა ძალა უფლების მიმართ, პარტიის ტაქტიკის და კომუნისტური პარტიასთან კონტაქტში მუშაობის მიზნის შესახებ დასასრულ მოკლედ განმარტა საბჭოთა სისტემის და ორიენტაციის საკითხი პარტიის მსოფლ მხედველობის ნიადაგზე, ტფილისის პირველი საბჭოს მუშათა ანგარიშის განმარტების შესახებ და სხვ. დასასრულ არჩეულ იქნა ტფილისის საბჭოში 3 დელეგატი.

—

ილაპარაკა მენშევიკმა [illegible] და სხ. მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible] დაწვრილებით [illegible] საერთაშორისო [illegible] მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის გზა, კომუნისტებთან დამოკიდებულებას, დიდხანს შეჩერდა მენშევიკების და მათ ამყოლ ემიგრანტ ფედერალისტების, მუსავატების და დაშნაკების შავ ბლოკზე, გაიყვანა პარალელი მენშევიკურ ტფილისსა და საბჭოთა ტფილისს შორის, აღნიშნა წითელი საბჭოს ნაყოფიერი მუშაობა და ამ მუშაობაში მემარცხენე სოც.-ფედ. აქტიური მონაწილეობა. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხანაგის სიტყვა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ამხ. მომხსენებელი. მიღებულ იქმნა შესაფერისი რეზოლუცია. არჩეულ იქმნა 3 დეპუტატი ერთხმად, ყველა კომუნისტები. ამხ. ასრიბეკოვმა არჩეულ დეპუტატებს წაუკითხა „ნაკაზი". კრება დაიშალა საღ. 5 საათზე.

# ესერების პროცესი.

მოსკოვი. 22 ივნისი. პირველი ჯგუფის დამცველთა თხოვნით, რევტრიბუნალის სხდომა დაიწყო ნაშუადღევის 4 საათზე. საღამოს სხდომაზე უმთავრესად პირველი ჯგუფის ბრალდებულები ეკითხებოდენ მეორე ჯგუფის ბრალდებულს რატნერს და სცდილობდენ დაებნიათ იგი და აღმოეჩინათ მის მიერ მიცემულ ჩვენებაში წინააღმდეგობანი. საოცრად შეუფერებელ კითხვებს აძლევდენ ბრალდებულს, მაგრამ ამით ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. უკეთებენ რა ამხ. რატნერის სიტყვას დასკვნებს, ბრალდებულები იძლევიან ისეთ უმგვანო ფორმულიროვკას, რომ რატნერი იძულებული ხდება მიმართოს სასამართლოს დაიცვას იგი ასეთ უმართებულო დაკითხვისაგან.

სხდომის განახლებისას პირველი ჯგუფის ბრალდებული ტიმოფეევი იძლევა განმარტებას პარტიის მოსკოვის პერიოდის მუშაობის შესახებ. ტიმოფეევი ირწმუნება, რომ ყველა ორგანიზაციები აიარაღებენ ძალებს დამფუძნებელი კრების დასაცავად იმ შემთხვევისათვის თუ იგი შეიკრიბებოდა. მოსკოვში დაარსდა მოსკოველ მომუშავეთა ჯგუფი, მოსკოვის კომიტეტის მონაწილეობის გარეშე. ცეკამ გაიგო რა ეს, მიანდო ზენზინოვს და შემდეგ ტიმოფეევს მოახდინოს ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია. ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ სამხედრო მუშაობა მოსკოვში დაიწყო შედარებით გვიან, როდესაც პარტიის ცეკამ თავისთან დაარსა სამხედრო კომისია რომლის სათავეშიაც იდგა ტიმოფეევი.

ტიმოფეევის ჩვენების შემდეგ, ტრიბუნალი შეუდგა დამცველების მიერ გამოწვეულ მოწმე შესტაკოვის დაკითხვას. თავის ჩვენებაში მოწმე სცდილობს გაამართლოს პირველი ჯგუფის ბრალდებულები და არ სურს დაასახელოს მათი გვარები, ხოლო არ იკავებს თავს მეორე ჯგუფის ბრალდებულთა და განსაკუთრებით რატნერის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაში. შესტაკოვის სიტყვით, სრულებით არ არსებობდა სამხედრო ორგანიზაცია. რატნერი თვითონ აწარმოებდა რაღაც სამხედრო მუშაობას და წინადადებას აძლევდა შესტაკოვს ჩამდგარიყო მის სათავეში, რაზედაც მან უარი განაცხადა. მოწმე აღნიშნავს, რომ რატნერი მომხრე იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლისა. მაგრამ ბრალდებულის შეკით-

# პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოს სინამდვილე*)

(პასუხად ამხ. კ. კომუნაძეს)

(გაგრძელება)

კაპიტალისტურ მეურნეობაში, სადაც პროდუქტები უმთავრესად საქონლის ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა-გამოცვლა, უაღრესად განვითარებულია. ად. სმიტიც კი აღნიშნავდა თავის უკვდავ წიგნში, რომ გარანტია გაცვლისა, საფუძველი გახდა შრომის სპეციალიზაციის, ხოლო შრომის სპეციალიზაცია განისაზღვრება ბაზრის სიფართოვით. კაპიტალიზმის განვითარებამ, როგორც ვიცით, ბაზარს ინტერნაციონალური ხასიათი მისცა, მაშასადამე გაცვლის პროცესი უაღრესად განავითარა.

როგორ ხდება დღეს საქონლის გაცვლა? საქონლის გაცვლისათვის სრულებით არ არის საჭირო სხვა და სხვაობა კლასისა. მართალია, როდესაც ხდება სამუშაო ძალის გაყიდვა, აქ თავს იჩენს სოციალური უთანასწორობანი, რადგან მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას მხოლოდ იმიტომ, რომ არა აქვს საშუალება მისი არ გაყიდვისა და როგორადაც არ უნდა სურდეს არ შეუძლია გახდეს კაპიტალისტი. კაპიტალისტიც ყიდულობს სამუშაო ძალას, რადგან მას საშუალება აქვს მისი გამოყენებისა და აგრეთვე არავითარი ფაქტორი არ აიძულებს მას. რომ ისურვოს მუშის მდგომარეობა. ამდენათვე სამუშაო ძალის გაყიდვის დროს სოციალურად ანტაგონისტური ელემენტები ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ საქონლის გაყიდვის დროს ერთი და იგივე კლასის წარმომადგენელნი, სოციალურად სოლიდარული ხვდებიან ერთმანეთს ბაზარზე, როგორც მყიდველი და როგორც გამყიდველი. ავიღოთ კონკრეტი მაგალითი. მაღაროს პატრონი საჭიროებს მძიმე ინდუსტრიის პროდუქტებს. ბაზარზე ხვდება ერთმანეთს მაღაროს პატრონი, როგორც მყიდველი და მძიმე ინდუსტრიის ფაბრიკანტი, როგორც გამყიდველი. არის თუ არა აქ წინააღმდეგობა? რა თქმა უნდა არის. არის თუ არა აქ ეს მომენტი საკმაო საფუძველი მათი კლასობრივი სხვაობისა. რა თქმა უნდა არა. ასეთი მდგომარეობაა, როდესაც ვაჭარი ყიდულობს საქონელს მრეწველისაგან, ან მეწაღე დურგალს მიყიდის წაღას, ხოლო დურგალი მას მიაწვდის თავის პროდუქტს.

საკითხის ცენტრი, რომ ბაზარზე შეხვედრის წინააღმდეგობა იყოს, მაშინ ლოღიკურად მივალთ იმ უაზრო დასკვნამდე, რომ თითოეულ პიროვნებას ვაღიარებთ კლასად, რადგან თითოეული პიროვნება ხვდება ბაზარზე როგორც მყიდველი და როგორც გამყიდველი. ხშირად კი ხან მყიდველია ერთი და იგივე პიროვნება, ხან გამყიდველი. ამდენათვე ასეთი დასმა საკითხისა კურიოზულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს და აბსურდულ დებულებამდე მიგვიყვანს.

ამხ. კ. კომუნაძეს თავისი მოსაზრება მართლაც რომ ხელას ჭეშმარიტებად ეჩვენება და ირონიით დაგვცინის, „აი სიბრძნე" „აბსურდი მართლაც ეს არისო". იქნებ მეც მე პირმა გვსაჯოს, თორემ, ვფიქრობ, ამხ. კ. კომუნაძის მსჯელობა ფრიად სასტიკი იქნება ჩემთვის.

ამხ. კ. კომუნაძეს უკვირს თუ რად დაგვჭირდა ჩვენ განმარტება კაპიტალისა და საწარმოო საშუალებისა. უნდა მოვახსენო, რომ მისი განცხადება „ни к селу, ни к городу" საკითხის ვერ გაგების ნიადაგზეა აღმოცენებული. საქმე ის არის, რომ, როდესაც ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნებოდა—გლეხი ფლობს საწარმოო იარაღებსო, თუ ეს იარაღები მიღებული იქნებოდა როგორც კაპიტალი, რომელსაც ახასიათებს თვით მომატების თვისება, ზედმეტი შრომით შექმნილ ღირებულების მითვისების საშუალებით, მაშინ გლეხი უნდა მოგვეთავსებინა ექსპლოატატორთა კატეგორიაში. ჩვენ ამიტომ გავარჩიეთ კარლ მარქსის შეხედულება კაპიტალზე და აღვნიშნეთ, რომ ამავე ავტორის აზრით გლეხის საწარმოო იარაღები სრულებით არ წარმოადგენს კაპიტალს, როგორც თვით მომატების უნარის მქონეს (კაპიტალის ისტორიული კატეგორიის მნიშვნელობით) რამდენათაც ასე სდგას საკითხი, რამდენათაც ჩვენთვის ნათელია ერთი მხრით ის, რომ გლეხი არ არის ექსპლოატატორი და მეორე მხრით კაპიტალის გამო იგი განიცდის ექსპლოატაციას, იმდენათ ნათლად ისახება მისი ადგილი საზოგადოებრივ ჯგუფთა იერარქიაში. აი ამიტომ დაგვჭირდა ჩვენ კაპიტალის განმარტება და ეს საჭიროც გახდა.

ჩვენ „კომუნისტური მანიფესტიდან" მოვიყვანეთ ის ადგილი, სადაც არის დახასიათება გლეხის როლისა და ვწერდით; „თუ გლეხი არის მართლაც „არა რევოლუციონერი არამედ კონსერვატიული ელემენტი, კიდევ მეტი, კონსერვატიული კი არა რეაქციონურიც კი, რადგან მათ უნდათ ისტორიის ღერძის უკან დაბრუნება" მაშინ ცხადია ხელი უნდა ავიღოთ მის დაცვაზე და ისეთი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ მათ, როგორც საერთოდ რეაქციონერებს". იხ. „ტრიბუნა" № 181).

ამის შესახებ ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნება, რომ „ისეც დამახინჯებთო" და ცდილობს „აღადგინოს" სისწორე. მას მოყავს შემდეგი ამონაწერი: „საშუალო კლასები, წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი,—ყველა ესენი იბრძვიან ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყონ დაღუპვისაგან თავიანთი არსებობა, როგორც საშუალო კლასების. მაშასადამე ისინი არა რევოლუციონური, არამედ კონსერვატიული არიან კიდევ უფრო მეტი,—ისინი რეაქციონური არიან. ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას. თუ ისინი რევოლუციონური არიან ეს იმდენად, რამდენადაც სჭვრეტენ ისინი თავიანთ გადასვლას პროლეტარიატის რიგებში და ამდენათვე იცავენ თავის არა ახლანდელ, არამედ მომავალ ინტერესებს, დასტოვებენ თავიანთ თვალსაზრისს, რათა დადგენ პროლეტარიატის თვალსაზრისზე". *) (კურსივი ამხ. კომუნაძისაა)

რომ უფრო ნათელი გახდეს ამხ. კ. კომუნაძის ლოღიკა, საჭიროა კიდევ ამოწერა მისი დასკვნების „კომუნისტური მანიფესტის" ამ ადგილისა: იგი სწერს „მართალია, თუ ეს საშუალო კლასები (წვრილი მრეწველები, ხელოსნები, გლეხები და სხვა), იღაშქრებენ მსხვილი წარმოებისა და საზოგადოდ მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის წინააღმდეგ, როგორც მსხვილს მხოლოდ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ძველებური წვრილი წარმოებანი თავიანთი პრიმიტიული საწარმოო იარაღებით, განა ეს არა თუ კონსერვატიული, არამედ პირდაპირი რეაქციონული მოქმედება არ იქნება მათი მხრით? (უეჭველად შეიძლება და ხშირადაც ეს სწორედ ასეა).

„მეორე მხრით—განაგრძობს ამხ. კომუნაძე—თუ კი ისინი ითვისებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს, სახელდობრ იმას, რომ უნდა იქნეს მოსპობილი არა თუ მსხვილი წარმოება, არამედ საზოგადოდ კაპიტალისტური წარმოება და მის მაგივრად შემოღებული სოციალისტური, მაშინ ისინი, რასაკვირველია, რევოლუციონური არიან და თამაშობენ რევოლუციონურ როლს. (რასაკვირველია ეს შეეხება იმ ეპოქას, როდესაც მოსალოდნელია მხოლოდ სოციალისტური, პროლეტარული რევოლუცია)" (ხაზი ამონაწერში ყველგან ავტორისაა. ს. —ელი.)

ამ რიგად ამხ. კ. კომუნაძემ გლეხი მოგვცა როგორც რევოლუციონერი, აგრეთვე კონტრ-რევოლუციონერი და რეაქციონერი. მაგრამ უფრო საინტერესოა ლოღიკურად მივყვეთ მის მსჯელობას. ამხ. კ. კომუნაძემ მოიყვანა ამონაწერი „კომუნისტური მანიფესტიდან", რომ „ისინი (გლეხები, წვრილი ხელოსნები და სხვ.) რეაქციონული არიან, ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნებას. თუ კი ისინი რევოლუციონური არიან ეს იმდენად, რამდენადაც სჭვრეტენ თავის გადასვლას პროლეტარიატის რიგებში. და ამგვარად იცავენ თავის არა ახლანდელს, არამედ მომავლის ინტერესებს, დასტოვებენ თავიანთ თვალსაზრისს, რათა დადგნენ პროლეტარიატის თვალსაზრისზე". ამხ. კ. კომუნაძემ ხაზი გაუსვა სწორედ იქ, სადაც ხელი უნდა დაეფარებია. მან თავისი დებულება ყირამალა გადააბრუნა და კიდევ აქეთ გვედავება.

საქმე იმაში გახლავს, რომ „კომუნისტური „მანიფესტის" ხსენებული ამონაწერის ფორმულიროვა შეიძლება შემდეგ სიტყვებში—როდესაც გლეხი და წვრილი მოხელე პროლეტარიატის მდგომარეობაში გადადის, მისი ინტერესებიც პროლეტარულია. აი ეს არის ხალასი დებულება და ერთად ერთი ლოღიკური დასკვნა „მანიფესტის" ზემოთ მოყვანილ ამონაწერიდან. რა ძნელი გასაგებია, რომ გლეხი თუ გადადის პროლეტარიატის რიგებში" იგი დადგება „პროლეტარიატის თვალსაზრისზე", მაგრამ რა წამს გლეხი გლეხია და წვრილი ხელოსანი—წვრილი ხელოსანი, ისინი რეაქციონერები არიან".

როდესაც „მანიფესტის" ავტორნი ამას სწერდენ, მათ ჰქონდათ გარკვეული მსოფლმხედველობა და მტკიცე ლოღიკა ამ მსოფლმხედველობის მიხედვით. მაგრამ, როდესაც ამას დასკვნებს უკეთებს ამხ. კ. კომუნაძე, ფრიად ცუდ სტრატეგიულ პუნქტებზე სცემს.

ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნება, რომ „თუ კი ისინი (წვრილი ხელოსნები და გლეხები. ს—ელი) ითვისებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს, სახელდობრ იმას, რომ უნდა იქნეს მოსპობილი არა თუ მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, არამედ საზოგადოდ კაპიტალისტური წარმოება და მის მაგივრად შემოღებუ-

*) იხ. „ტრიბუნა" № 227

*) К. Маркс „Савременная борьба классов" 12 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვაზე—ეწინააღმდეგებოდა თუ არა რატნერი ცეკას აზრს—მოწმე უპასუხებს უარყოფითად.

შესტაკოვის მიერ მიცემულ ჩვენებას ძალიან ფრთხილი ხასიათი ქონდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა თითქოს მოწმეს ეშინოდა ზედმეტი რამ არ წამოცდენოდა ან დაეთქვა ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგებოდა პირველი ჯგუფის მიერ მიცემულ ჩვენებას.

# ჰააგის თათბირი

**რუსეთი ჰააგაში.**

**მოსკოვი** 22 ივნისი. წინასწარ თათბირზე ჯერ კიდევ არ მომხდარა შეთანხმება ანტანტის სახელმწიფოთა შორის, რუსეთის საკითხის შესახებ შეთანხმებული მოქმედებისათვის. რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ლიტვინოვმა განაცხადა, რომ იგი ისევ იმ პოზიციას დაიცავს, რომელსაც ადგა რუსეთის დელეგაცია გენუაში და რომელიც მოიწონა სახალხო კომისართა საბჭომ. ლიტვინოვმა მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ლლოიდ-ჯორჯი კვლავ მოითხოვს საერთო—ევროპიულ შეთანხმებას, რომელიც თანამედროვე პირობებში და საფრანგეთის ოპოზიციის გამო შეუძლებელი ხდება.

**საფრანგეთი და ჰააგა.**

**მოსკოვი** 22 ივნისი. გაზეთი „ტანი“-ს აზრით საფრანგეთის დელეგატები უნდა დარჩენ ჰააგაში რუსეთის დელეგატების ჩასვლის შემდეგაც, ვინაიდან საფრანგეთის იზოლაცია არ არის სასურველი. გაზეთი აყენებს იმ პირობებს, რომლის დროსაც საფრანგეთს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჰააგაში თუ უცხოელების საკუთრებას რუსეთში მოელის სხვა უცხოელთა ხელში გადასვლის საფრთხე. მაშინ ყოველი სახელმწიფო იტოვებს უფლებას დაიცვას თავის მოქალაქეთა უფლებები ყოველგვარი საშუალებებით, თუ გინდ საბჭოთა ხელისუფლებასთან უშუალო შეთანხმების გზითაც. ამ თვალსაზრისს იზიარებენ მთავრობის ყველა გაზეთებში.

გაზ. „მატენი“ იტყობინება, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ჰააგაში თითქმის უზრუნველყოფილია მით უმეტეს, რომ ბელგიამ თანხმობა განაცხადა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკებაში. საფრანგეთი არ დასტოვებს თავის უახლოეს მოკავშირეს.

**საქმიანი ხასიათის მოლაპარაკება.**

**მოსკოვი.** ივნისის 22. გაზეთი „ტაიმსი“ სწერს, რომ წინასწარმა „არა რუსულმა კომისიამ“ მტკიცედ გადაწყვიტა საქმიანი ხასიათის მოლაპარაკება დაიწყოს საბჭოთა დელეგატებთან.

**კაუცკის გაერთიანების წინადადების შესახებ.**

**მოსკოვი.** ივნისის 22. ლედებურმა კატეგორიულად უარყო კაუცკის წინადადება დამოუკიდებლებისა და სოციალ-დემოკრატების გაერთიანების შესახებ. ის ფიქრობს, რომ ამგვარი გაერთიანება ცუდ შთაბეჭდილებას იქონიებს მუშათა მოძრაობაზე. ლედებური აღნიშნავს, რომ მემარჯვენე დამოუკიდებლებიც კი [illegible] გერმანიის რევოლიუციის განვითარებას.

**რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის განიარაღების წინადადების შესახებ.**

**მოსკოვი.** ივნისის 22. ფინური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ ეხება საბჭოთა მთავრობის წინადადებას განიარაღების შემცირების შესახებ. „მთელის ჩვენის არსებით უნდა მივესალმოთ საბჭოთა მთავრობის ნოტას. ფინლანდიის მთავრობას არა აქვს უფლება უარი სთქვას საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე თათბირის შესახებ. საჭიროა შევამციროთ მინიმუმამდე სამხედრო ხარჯები.

**მუშათა დევნა ამერიკაში.**

**მოსკოვი.** ივნისის 22. რომენი გაზეთ „იუმანიტეში“ კიცხავს შეერთებული შტატების მთავრობას იმისთვის, რომ ამერიკიდან მიღებული წერილების თანახმად, იქ კვლავ გრძელდება მუშების დევნა. სამრეწველო მუშების პროცესზე მოყიდული მოწმეები აძლევენ სასამართლოს ჩვენებას, თითქოს მუშები სწვავდნენ პლანტაციებსა და ფაბრიკებს. სასამართლომ სამრეწველო მუშების კავშირის მავნე და საშიში ორგანიზაციათ ჩათვალა და კავშირის 80 წევრს სასჯელი მიუსაჯა. ასეთი ზომებს ამერიკის მთავრობა განსაკუთრებით იღებს კომპარტიის წევრების მიმართ.

**რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაცია ჰააგის კონფერენციაზე.**

**მოსკოვი** 15 ივნისი, რუსეთის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეთ ჰააგის კონფერენციაზე დანიშნულია გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი. დელეგაციის წევრები: უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რაკოვსკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კრასინი, რუსეთის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ბერლინში ამხ. მ. კრესტინსკი და ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. გ. სოკოლნიკოვი.

დელეგაციის ექსპერტებათ და ტეხნიკურ თანამშრომლებათ დანიშნულია: პროფ. ა. სმირნოვი, გ. ლაშკევიჩი, ბ. შტეინი, ქ. მუსატოვი, ბ. მარკი ა. პეტროვსკი, ე. კრილენკო, ბ. ბრონსკაია, ე. ლევიცკაია, ჟორჟ როტფელდი და პასკალი.

---

ლი სოციალ-დემოკრატიული, მაშინ ისინი რევოლიუციონური არიან და თამაშობენ რევოლიუციონურ როლს“. (ხაზი ავტორისაა. ს.—ელი)

ამხ. კ. კომუნაძის დებულება მოკლედ შემდეგს გვეუბნება—თუ გლეხი რევოლიუციონერია, იგი რევოლიუციონერია. ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, როგორ ხდება, რომ იგი რევოლიუციონერთა ბანაკში გადადის? როგორ ხდება, რომ ისინი ითვისებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს“? ამ კითხვაზე „მანიფესტის“ ავტორებს აქვს გარკვეული პასუხი, რომელიც მდგომარეობს მასში, რომ, როდესაც გადადის გლეხი „პროლეტარიატის რიგებში“ (რასაკვირველია თავისი მდგომარეობით) მაშინ იგი რევოლიუციონურად არის განწყობილი, მაგრამ ამხ. კ. კომუნაძეს ამის მზგავსი არაფერი მოეპოვება. იგი გვეუბნება, რომ „თუ კი“ ისინი ითვისებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს, მაშინ რევოლიუციონერები არიანო. საქმეც მასშია, რომ ამხ. კ. კომუნაძეს თავისი „თუ კი“ ვერ უშველის. მან როგორც მარქსისტმა უნდა სთქვას, რომ შეგნება კი არ საზღვრავს მდგომარეობას, არამედ პირიქით, მდგომარეობა შეგნებას და მაშასადამე მასშია, სანამ იგი გლეხია, რეაქციონერია, კონსერვატორია, ხოლო როდესაც იგი დაკარგავს თავის მდგომარეობას და გადავა „პროლეტარიატის რიგებში“ იგი რევოლიუციონერია. ასეთია სწორი, მიუდგომელი და ჭეშმარიტი ინტერპრეტაცია კომუნისტური მანიფესტის იმ ადგილისა, რომლის გამოყენებასაც ფიქრობდა ამხ. კ. კომუნაძე თავის სასარგებლოდ.

ამხ. კ. კომუნაძეს ლოღიკურად უცნაური დასკვნა გამოყავს. გლეხი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებით როგორც რევოლიუციონერი, ისე რეაქციონერიც. ასეთ მოვლენას ლოღიკაში ეწოდება lecx contradictionis, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე საგანს, ერთსა და იმავე დროს ქონდეს და არც ქონდეს არაიმე ნიშანი ერთი და იმავე მიმართებით.

ამხ. კ. კომუნაძეს დებულება ისეთი გამოადგა, რომელიც მასვე სცემს.

ეხლა ვნახოთ ბოლშევიკების პრაქტიკული პოლიტიკა გლეხობის მიმართ. ჩვენ ვიცით „მანიფესტიდან“, რომ რამდენადაც გლეხი კარგავს თავის მდგომარეობას და იგი „გადადის პროლეტარიატის რიგებში“, იმდენად იგი „დგება პროლეტარიატის თვალსაზრისზე“. მაშასადამე, ერთად ერთი სოციალისტური პოლიტიკა, აქედან გამომდინარე, უნდა იყოს ხელის შეწყობა პროლეტარიზაციის პროცესისა, რომლის საშუალებებით გლეხობა დადგება პროლეტარიატის თვალსაზრისზე. სინამდვილეში დღეს კი წინააღმდეგი ხდება. გლეხობის ინტერესების დასაცავად დიდ შრომას უწევს საბჭოთა ქვეყნების ხელისუფალნი, რომელნიც არა თუ ხელს უწყობს გლეხის პროლეტარიატის მდგომარეობასთან დაახლოვებას, არამედ მას წელს უმაგრებს. თავის მდგომარეობას უმტკიცებს. რამდენად არსებითად რომ მართალი და სწორი იყოს „მანიფესტის“ დიაგნოზი, მაშინ იმდენათვე შემცდარი და უწორო იქნება ბოლშევიკების პრაქტიკული პოლიტიკა. მაგრამ შემდგარია არა უკანასკნელი, არამედ პირველი.

მაგრამ ამხ. კ. კომუნაძე აქაც ვითომ გამოსავალს პოულობს და გვეუბნება: „სოციალიზაცია სოფლად. ეს დათმობა იყო გლეხობისათვის“. (იხ. „კომუნისტი“ № 102. ხაზი ჩვენია. ს—ელი) საქმეც ეს არის, ამხ. კ. კომუნაძევ! სწორედ ესაა თავი და თავი, რომ თქვენ „დათმეთ“. მეც ამ დათმობებზე მოგახსენებდით, რის გამო ესოდენი ქვა დაგუნდა მომაყარეთ და კორიანტელი დააყენეთ.

დიახ, თქვენ დათმეთ და მეტად ბევრი. სხვა დათმობათა შესახებ შემდეგ წერილში.

ს —ელი.

(შემდეგი იქნება).

---

# მეფე ურიათა

რევოლიუციონურ-სამხატვრო თეატრის რეჟისორმა მარგარიტოვმა სახელმწიფო საოპერო სცენაზე დადგა კონსტანტინე რომანოვის (კ. რ.) დრამა „იუდეათა მეფე“, რომელსაც მოქ. მარგარიტოვმა მისტერია უწოდა, თუმც არა უსაფუძვლოდ, რადგან მოქ. მარგარიტოვმა ნიჭიერ ნაწარმოებს თავისგან იმდენი მიუმატა, რომ კ. რ. დრამიდან თითქმის მარტო ფაბულა დარჩა.

მოქ. მარგარიტოვს და მის თანამშრომლებს ბევრი ენერგია და საშუალებები დაუხარჯავთ „მისტერის“ დასადგმელად, მაგრამ ძლიერ ცოტა სჩანდა გემოვნება და ცოდნა იმ გამოცდილ მსახიობთა ნიჭის გამოსაყენებლად, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ დრამაში. მოიკოჭლებდა სარეჟისორო ნაწილიც. იყო „წარმოდგენა“, მაგრამ არ იყო სიმართლე, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მეტად ცოტა იყო. რის გამო ამ სახელგანთქმულმა დრამამ ვერ შეიპყრო აუდიტორია, ვერ შექმნა შთაბეჭდილება.

ამის მიზეზი იყო ის შეცდომები, რომელიც დაუშვა მოქ. მარგარიტოვმა, სახელდობრ: თავის მხატვრული გემოვნების გადაფასება, ტექსტის შეცვლა საზოგადოების იმ ნაწილის გემოვნების მიხედვით, რომელიც დაშორებულია ხელოვნურ მისწრაფებას და თეატრებში მხოლოდ გასართობს, სანახაობას ეძებს და მესამე მიზეზი - მსახიობთა ცუდი შერჩევა, რომლის უმეტესობას ვერ შეეგნო ვერც ეპოქა, ვერც სტილი. კ. რ. ტექსტში სცენაზე არასოდეს არ ცხადდება ქრისტე, მაგრამ საზოგადოებისათვის უხილავი ყოველთვის იგრძნობება და ქმნის შთაბეჭდილებას, რომელიც კულმინაციონურ წერტილს აღწევს „ჯვრის გზის“ სცენის დროს. ამ დრამის შექმნის მომენტიდან კ. რ. ნაწარმოების გარშემო დიდი ხმაურობა ატყდა. მონარქიის ეპოქაში დრამიდან სურდათ შეექმნათ რაღაც საიდუმლო, დგამდენ ერმიტაჟის თეატრის სასახლის. მცხოვრებთა ინტიმიურ წრეში და რა თქმა უნდა ამ იდუმალობამ და სახელმწიფოს პოლიციის მიერ შექმნილმა ატმოსფერამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ახლა კი სარეჟისორო ნაწილი გადავარდა პირდაპირ უკიდურესობაში, სახელდობრ: უმატებს ტექსტში ისეთ სცენებს, რომელიც არ არის. „ქრისტეს სვლა“, „სასამართლო პილატესთან“, „ჯვარსცმა“ და განსაკუთრებით „ამაღლება“ უეჭველად ზედმეტია და პროფანაციათ უნდა ჩაითვალოს. მართალია, ყოველივე ეს რეალურია, მაგრამ მოქ. მარგარიტოვი ამას სჩადის აუდიტორიის ნაკლებ კულტურულ ნაწილის სასიამოვნოდ და ნაკლებ ყურადღებას აქცევს მხატვრულ მხარეს, როლებს უნაწილებს ისეთ მსახიობთ, რომელნიც არა თუ ქმნიან შთაბეჭდილებას, არამედ სპობენ მას ცუდი შესრულებით. დადგმის მთავარი პლიუსია... სახელმწიფო სცენის საშუალებები, განსაკუთრებით სინათლის ეფექტები, მასიური სცენები ყოველთვის ვერ იყო სათანადო. პირველ სცენაში „ოსანა“ ბრბო თამაშობს და არა სცხოვრობს სცენაზე, ასევე, მაგრამ უფრო მოუხეშავ ფორმით, სცენაში „ქრისტეს აღდგომა;“ მეტად მოხერხებულად არის დადგმული სურათი „პილატეს სასამართლო“. აქ რეჟისორმა შესძლო მოეცა ბრბოს რეალური მღელვარება, კარგათ არის დადგმული სცენა „ჯვრის გზა“ მხოლოდ სინათლით ეფექტებით, რადგან ყოველივე დანარჩენი თვალს სჭრის, განსაკუთრებით სასაცილო სამი ჯვარი. თუ პირველი ჯვარი ასე თუ ისე აუდიტორიას აგონებს სასჯელის საშინელ სურათს, ორი დანარჩენი—ჩვენი თანამედროვე სასაფლაოებიდან მოხსნილი ჯვრებია. პილატი პრეტორია—მეტად ღარიბულად არის მოწყობილი.

თუ გადავალთ კერძოთ ამსრულებლებზე, პირველმა აუცილებლად მოქ. კრუჩინინს (იოსებ არიმათიელი) ეკუთვნის მსახიობის შესრულებაში ყოველივე კარგია: მწუხარე, გულწრფელი ტანიც, ტანსაცმელის ტარების უნარიც; კარგია მოქ. დავითაშვილიც პროკურატორ პილატის როლში. მსახიობმა მოგვცა შესაფერი გრიმი და სტილით დაცული შესრულება. შედარებით მისაღები იყო მოქ. ერმოლოვი ნიკოდიმის როლში. მსახიობმა უნდა აიღოს მეტი მშვიდი ტონი· ნიკოდიმი, შემდეგ ქრისტეს სწავლების გულმოდგინე მიმდევარი, დრამაში განიცდის ტანჯვას: ეს უნდა გარკვევით აისახოს. მეტად სუსტი პროკულაა—მოქ. იზოტოვა. მორალური ტანჯვა, მისი ახალი მსოფლმხედველობა—სრულებით არ იწვევს თანაგრძნობას, რადგან მოქ. იზოტოვა ცდილობს ითამაშოს არა სიმართლითა და სიმარტივით, საჭირო არ არის ისტორიული ტანი. სუსტი ლიაა მოქ. დონაურას გადმოცემაში. მსახიობმა ქალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ლია არ არის თანამედროვე ქალიშვილი და მხევალი.

მოქ. ანენსკაიმაც (იოანა) იღებს არა ბუნებრივ ტანს. ყველა ქალის როლების შემსრულებელთ გრიმი ცუდი აქვთ. პირდაპირ მიუღებელია ალექსანდრეს როლში მოქ. დაგმაროვი. მსახიობი ყოველთვის პათეტიურია, მოძრაობაც არა ბუნებრივი აქვს და მაყურებელს ქანცავს თავისი სურვილით როგორმე მიიქციოს ყურადღება. მოქ. გრანეცკი იძლევა ბუნებრივ ტიპს სოფლის მცხოვრებ სიმონისას. ცუდი არიან ფარისევლები და სადუკეველნი—ისინი გვაგონებენ არა იუდეაში გამეფებულ კლასს, არამედ ბოროტმოქმედებს თანამედროვე რომანებიდან. კარგია გლაზუნოვის მუსიკა. განსაკუთრებით ლოცვის მელოდეკლამაცია ხოროს სიმღერის ფონით. ყველა ხორში დაცულია საეკლესიო ხასიათი. მუსიკალური ნაწილი კარგათ არის შესრულებული.

პ. ბებუთოვი.

---

# უცხოეთი

**ახალი გამოგონება.**

**ლონდონი.** ივნისის 11. როგორც „ვესტმინსტერ გაზეთი“ იტყობინება, გერმანიაში გამოუგონებიათ ლითონის ახალი შეერთება (сплав), რომელიც ახალ ერას ჰქმნის ფრენაში. ეს ლითონი ძლიერ მსუბუქია და ამავე დროს სიმაგრით თითქმის ფოლადს უდრის. ამ უმსუბუქესი ლითონისაგან შეიძლება ააგონ საჰაერო გემები კოლოსალური ზომისა, სასადილო, საწოლი და საბანაო ოთახებით. ახალი საფრენი აპარატები შესძლებენ აზიდონ 500-დე კაცი. მოძრაობა მათი იქნება აბსოლიუტურად უხმაურო და ვერც შეარყევს მათ ვერავითარი ავდარი.

როგორც ამბობენ, ახალი ლითონი შესაძლებელს ხდის ისეთი საჰაერო გემები ააგონ მისგან, რომელიც გაკვეთავს საჰაერო რეისებს სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკზე და ატლანტის ოკეანეზე გადასვლით ევროპაში და კონსტანტინეპოლამდე ერთი კვირის განმავლობაში დასვენებიანათ.

**ზემო სილეზია.**

**ნაუენი.** ივნ. 21. პოლონეთის ჯარებმა დაიკავეს კატოვიცი, კრეისბურგი და ობერგლოგაუ. ამ ქალაქების დაკავება მოხდა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე.

**საფრანგეთი**

**პუანკარეს გამგზავრება**

**რომი.** ივნ. 21. ლლოიდ ჯორჯთან სადილის შემდეგ, პუანკარე გაემგზავრა პარიზში.

**უთანხმოება არ არსებობს**

**ნაუენი.** 21 ივნისი, ლლოიდ-ჯორჯთან 4 საათის თათბირის შემდეგ, პუანკარემ დასტოვა ლონდონი და დაბრუნდა პარიზში. საფრანგეთის პრესა იტყობინება, რომ პუანკარესა და ლლოიდ-ჯორჯის შორის აზრთა სხვა და სხვაობა არ არსებობს. ლლოიდ ჯორჯმა და პუანკარემ გადაწყვიტეს არავითარი ზომა არ მიიღონ გერმანიის წინააღმდეგ მანამდის, სანამ საკონტრიბუციო კომისია არ წარმოადგენს [illegible] გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ [illegible] უკანასკნელის [illegible] პუანკარეს განზრახვა [illegible] გზავროს ლონდონში ივნისის ბოლო რიცხვებში, [illegible] მოელის [illegible] თან შეხვდება, [illegible] საკონტრიბუციო კომისიის [illegible] ნება.

**ინგლისი.**

**შეუთანხმებელთა პროტესტი.**

**ნაუენი** 21 ივნისი. ლონდონში მე 2 ინტერნაციონალის კონფერენციაზე უარყოფილ იქნა მე 3 ინტერნაციონალთან შეთანხმება. დამპროტესტებთ იქნა განცხადებული საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

**შანცერი მიემგზავრება ლონდონს**

**რომი.** 25 ივნისი ლონდონში ამ ახლო მომავალში მოელიან იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის შანცერის ჩამოსვლას.

**აღმოსავლეთში.**

**მოკავშირეთა დანაშაული.**

**ტრაპიზონი.** 18 ივნისი, ქ. სამსუნის ბომბარდიროვკის გამო გაზ. „ისტიკბალი“ სწერს: „ჯერ კიდევ არ გამშრალა მელანი მუდროსის ზავის ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც საბერძნეთის ფლოტს ეკრძალებოდა მარმარილოს ზღვაში გასვლა და საბერძნეთის ფლოტი გამოჩნდა კონსტანტინოპოლთან. ამ ჟამად საბერძნეთის ფლოტი გავიდა შავ-ზღვაში და ყუმბარებს უშენს დაუცავ ქალაქებს, სადაც ამის გამო მრავალი მშვიდობიანი მცხოვრებელი იხოცება. ამაში ბრალი მიუძღვის მოკავშირეებს, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ მათ მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას და ნებას აძლევენ ბერძნებს იმოქმედონ საერთაშორისო უფლების კანონების საწინააღმდეგოთ და ამავე დროს მოკავშირეებს კიდევ შესწევთ გამბედაობა ბრალი დაგვდონ ჩვენ ეროვნულ უმცირესობათადმი მტრულ დამოკიდებულებაში.

**მცირე აზიაში მომხდარ სიმხეცეთა შესახებ.**

**კრაუდენი.** 21 ივნისი, (რადიო). ინგლისის პრესა დეტალებით მოითხოვს მცირე აზიაში მომხდარ მხეცობათა სერიოზულად და დაჩქარებით გამოძიებას, ვინაიდან ეს სიმხეცენი გრძელდება. პრესა დარწმუნებულია, რომ არაფერი შესაფერებელი მიზეზი არ გადაეღობება ამ გამოძიებას. გამორკვეულია, რომ როგორც საფრანგეთის უმაღლეს კომისარს კონსტანტინოპოლში მოუვა ბრძანება მოქმედების დაწყების შესახებ, ანგორის მთავრობასაც ეუწყება ეს ამბავი. იტალიის, ინგლისის და ამერიკის წარმომადგენლებმა უკვე მიიღეს სათანადო ინსტრუქციები.

**ახლო-აღმოსავლეთის პრობლემა.**

**კრაუდენი.** 21 ივნისი, (რადიო). როგორც გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტა იქნება პარიზისა და ლონდონის განხილვის საგანი, რადგან მათ შორის უკვე სწარმოებს მოლაპარაკება ხსენებულ საკითხის შესახებ. როგორც გაზეთი ფიქრობს ამ საკითხს შესახებ შეეკითხებიან ყველა იმ სახელმწიფოთ, ვინც ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას.

**სხვა და სხვა ამბები.**

**სამოქალაქო ომი.**

**რომი.** 21 ივნისი, (რადიო) კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის შეტაკების დროს ხანაუში (გერმანია), დაიჭირა 120 კაცი.

**რუსეთ გერმანიის შეთანხმება.**

**რომი** 21 ივნისი, (რადიო) გაზეთ „მეს ჯერო“ კორესპონდენტი იტყობინება სტოკჰოლმიდან, რომ რუსეთ გერმანიის შეთანხმების შემდეგ, გერმანიაში დაარსდა მრავალი სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებანი, რომელთა მიზანიც არის რუსეთში ფაბრიკა ქარხნების მოწყობა.

**მონარქისტები ემზადებიან.**

**კრაუდენი.** 21 ივნისი, (რადიო). გავრცელებულია ხმები, რომ ბერლინში 28 ივნისს, ვერსალის ხელშეკრულების წლის თავზე, მოელიან მონარქისტების გამოსვლას.

**კაპიტალიზმის სამეფოში.**

**შორეულ აღმოსავლეთში**

**მოსკოვი** 24 ივნისი. ჩიტადან 19 ივნისიდან იტყობინებიან, სახალხო კრების არჩევნებში გლეხობა და პროფკავშირები მხარს უჭერენ რუსეთის კომუნისტურ პარტიის სიებს. მენშევიკები და ესერები ეწევიან დემაგოგიას, რომელსაც ემხრობა იაპონიის თეთრ-გვარდიული პრესა, იგი იყენებს მენშევიკების ცილის-წამებას, რომ დაიცვას შო-

რიულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის პრესტიჟი. მასები მთლიანად რუსეთის კომუნისტური პარტიის მხარეზე არიან, რომლის გამარჯვება მოსალოდნელია შორეულ აღმოსავლეთის ყველა ოლქებში.

პარტიზანული მოძრაობა ზღვის სანაპირო ადგილებში უკანასკნელ დღეებში ძალიან გაიზარდა. აფეთქებულია მრავალი ხიდები. აყრილია უსურის რკინის გზის ლიანდაგი.

**ისევ მერკულოვი.**

**მოსკოვი** 21 ივნისი. მერკულოვი, რომელმაც დატოვა თავისი ხელისუფლება ვლადივოსტოკში იაპონიის ჯარების დახმარებით, ხმარობს რეპრესიულ ზომებს. კაპიტალისტების წინადადებით მერკულოვმა მოაწყო ჟანდარმერიის სამმართველო იაპონელ ჟანდარმების ინსტრუქციით.

**გერმანიის ეკონომიური კატასტროფა.**

**მოსკოვი** 21 ივნისი. ამერიკელი მსხვილი კაპიტალისტი (ფედერი დამახინჯებულია), რომელიც ამყოფებოდა გერმანიაში ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში სწერს, რომ გერმანიის ეკონომიური კატასტროფა ახლო მომავალში აუცილებელია, საფრანგეთი თავისივე ხელით ითხრის საფლავს ანადგურებს რა გერმანიას, ვინაიდან გერმანიის დაღუპვა არის მთელი ევროპის და პირველ რიგში საფრანგეთის დაღუპვაო.

# რუსეთი

**დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მუშათა საერთაშორისო კონფერენცია ბერლინში.**

**მოსკოვი.** 15 ივნისი. დამშეულთა დამხმარე მუშათა საერთაშორისო კომიტეტის კონფერენციაზე ბერლინში მიწვეულია ყველა ის ორგანიზაციები და სახელმწიფონი, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებენ რუსეთის დამშეულთა დახმარებაში. მიწვეულნი არიან აგრეთვე ცნობილი მოღვაწენი სიმშილობასთან ბრძოლისა—ანატოლი ფრანსი, ფრიტიოფ ნანსენი და სხვები.

**ბრალდებულთა ზედამხედველობა**

**მოსკოვი.** 22 ივნისი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოსცა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მე-3 სესიის მიერ მიღებული დადგენილება საბრალმდებლო ზედამხედველობის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, კანონების ასრულების ზედამხედველობის განხორციელებისათვის და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის სისწორით დაყენებისათვის, იუსტიციის სახ. კომისარიატის შემადგენლობაში დაწესებული იქნება სახელმწიფო პროკურატურა. ამ პროკურატურას მინდობილი ექნება ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფოს სახელით ხელისუფლების ყველა ორგანოების სამეურნეო დაწესებულებათა საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციების და კერძო პირთა მოქმედებათა კანონიერების დასაცავად, დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის ძიების აღძვრით და იმ დადგენილებათა გაუქმებით, რომელნიც არღვევენ კანონებს, უმაღლესი თვალყურის დევნება საგამომძიებლო ორგანოების და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მოქმედებისათვის, ბრალდების დაცვა სასამართლოში და თვალყურის დევნება დაპატიმრებულთა სათანადო შენახვისათვის.

პროკურატურის სათავეში როგორც რესპუბლიკის ბრალმდებელი დგას იუსტიციის სახ. კომისარი. რესპუბლიკის ბრალდებელის უშუალოდ ემორჩილება თვითეულ გუბერნიაში და ოლქში ბრალდებული, რესპუბლიკის ბრალმდებელის მიერ დანიშნული, როგორც ცენტრის მუშაკთაგან, ისე იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომელსაც წარმოაყენებს ხელმძღვანელი ადგილობრივი ორგანოები.

სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალებთან და სამხედრო-სატრანსპორტო რევოლიუციონურ ტრიბუნალთან არიან სამხედრო ბრალმდებელნი, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებიან რესპუბლიკის ბრალმდებლის თანაშემწეს, რომელიც იმყოფება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უმაღლეს ტრიბუნალთან.

**დებულება ვექილების შესახებ.**

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მე 3 სესიის დადგენილება ვექილების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, იუსტიციის საგუბერნიო განყოფილებასთან არსდება დამცველთა კოლეგიის უმაღლეს სამართლის და სამოქალაქო საქმეებისა, პირველი შემადგენლობის დამცველთა კოლეგიის წევრები დამტკიცებული იქნებიან საგუბერნიო აღმასკომის მიერ, ხოლო შემდეგ კოლეგიაში წევრების მიღება მოხდება კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ და ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმს, რომელსაც ეძლევა უფლება კოლეგიის ახლად დანიშნული წევრები დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს.

დამცველთა შრომის ხელფასის ანაზღაურება სწარმოებს შემდეგ საფუძვლებზე; ის პირნი, რომელნიც სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ცნობილი არიან არას მქონედ, სრულიად თავისუფალნი არიან დამცველთა ყოველგვარ სასყიდლისაგან სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებში, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა მუშები სამკითხაო დაწესებულებათა და წარმოებათა მოსამსახურეებს აქვთ უფლება აუნაზღაურონ დამცველებს შრომა და ნიხრის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს იუსტიციის სახ. კომისარიატი, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში დამცველების სასყიდელი განისაზღვრება მისი და დაინტერესებულ მხარეს შორის მომხდარ შეთანხმებით.

დამცველთა კოლეგიის წევრების გარდა, დაცვაზე დაშვებული იქნებიან ბრალდებულის ან დაზარალებულის ახლო ნათესავები, სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა და აგრეთვე სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ცენტრო კავშირის და სხვა პროფესიონალურ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები და რწმუნებულიბი. სხვა პირები დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვით.

# ახალი ამბები

— აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებიდან მოსული ცნობებით, იქ გრძელდება უწვიმობა და გვალვა. ზოგან გლეხები წვიმას უცდიდენ და სიმინდს არ სთესდენ და ბოლოს მოუხდათ დათესვა გამხმარ ნიადაგში როცა ძრიელ აბრკოლებს როგორც ნათესის ამოსვლას, ისე ჯეჯილის ზრდას.

— ტფილისის მაზრაში წვიმები ყველგან ხშირია, რისთვისაც ნათესი ყველგან კარგია; მოელიან მსხვილ მარცვლიან და კარგ მოსავალს.

— ქერის მკას უკვე შეუდგენ ყველგან, გარდა გამონაკლის ადგილებისა. ქერის მოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან კარგია.

— პურის მკასაც მალე შეუდგებიან, მაგ. ბორჩალოს მაზრაში და სხვა დაბლობებში 10—15 დღის შემდეგ.

— **მოსავლის მავნები.** ხაშურის, ოსიაურის, ლუმბრის და კრისას—ხევის რაიონებში (გორის მაზრაშია), ენტომოლოგმა არხანგელსკიმ აღმოაჩინა მავნე მწერი, რომლისგანაც დაზარალებულია საერთოდ რამოდენიმე დესეტინა უმთავრესად სოფ. ხაშურის და ოსიაურის რაიონებში. მიღებულია ზომები მავნეს მოსასპობად.

ხაშურსავე რაიონში, მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ დაიწყო ბლომად გამორეკა პურის მავნე მწერმა. ამხ. არხანგელსკი ინსტრუქტორობას უწევს მცხოვრებთ მავნე მწერთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

— **ფოთის ნავთსადგურში.** ივნისის 10 ს ნავთსადგურში შემოვიდა ქართული „კატერი“.—„ანაიდა“. ამავე რიცხვში ნავთსადგურიდან გავიდა: იტალიის გემი „ტრიპოლი“ 198 ფუთი ტვირთით ბათომში და ქართული შხუნა „ცხენის წყალი“, 10 ფუთი ტვირთით და 24 მგზავრით.

— **ტფილისის საბჭოს ახალი არჩევნებისათვის.** ტფ. საბჭოს არჩევნების ხარჯის დასაფარავად ქალაქის აღმასკომმა გადასდო 30 მილიონი მანეთი.

— **საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი.** ს. ს. ს. და აბხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის ჩართველობის მიერ დადებულია ხელშეკრულება შავ ზღვა—აზოვის მიმოსვლის ოლქთან, უკანასკნელის მიერ იჯარით აღებაზე, ბათომ-გაგრის სწყობ შენობებისა და სხ. შეთანხმების დასადებად ტფილისში სამოვიდა შავ ზღვა—აზოვის ოლქის მიმოსვლის უფროსი ამხ. ბოგუში.

— **დანაშაულობათა რიცხვი მაისში.** ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მილიციის განყოფილების ცნობით, გასულ მაისში რესპუბლიკაში ადგილი ჰქონია დანაშაულობის 292 შემთხვევას, რომელთაგან 171 შემთხვევაში დამნაშავენი აღმოჩენილია. როგორც დანაშაულობის შემთხვევათა, ისე მათ ყოველგვარობაში პირველი ადგილი უკავია ქ. ტფილისს, მეორე—აჭარას, სადაც რეგისტრაციაში გატარებულია 27 შემთხვევა. ყველაზე ნაკლები დანაშაულობათა რიცხვი რეგისტრაციაში გატარებულია: ქუთაისში (4), მაზრებში: თიანეთისა (4). სენაკის (4), შორაპნის (4). თელავის 2 (?) და ქ. ფოთში (2) სრულიად არ არის ცნობები ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში დანაშაულობის შესახებ.

სხვა და სხვა შემთხვევათა შორის პირველი ადგილი უკავია ქურდობას 124, რომლის 83 შემთხვევა მოდის ტფილისზე.

შემდეგ მიყვება გაძარცვა (39), მკვლელობა (36) დამარცხება (18), გაძარცვა მკვლელობით (8), ბანდიტებთან შეტაკება (6) სროლა (6), თავდასხმა (6), შანტაჟი (5—ყველა ტფილისში). ჯიბიდან ფულის მოპარვა 4 (3 ტფილისში და 1 აჭარაში).

ცეცხლის გაჩენის 4 შემთხვევაა რეგისტრაციაში გატარებული: 3 ტფილისში და 1 ზუგდიდის მაზრაში. „კერასინკის“ ცეცხლის გაჩენისაგან სიკვდილი (2) შემთხვევას ჰქონდა ადგილი—ორივეს ტფილისში.

## სამხატვრო ქრონიკა

— **მოხსენება შოთა რუსთაველზე.** დღეს პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში, საღამოს 9 საათზე **პავლე ინგოროყვა** გაიმეორებს მოხსენებას **„შოთა რუსთაველი“** (პოეტის ვინაობა და ცხოვრების დრო). ბილეთების ფასი 100 ათასიდან—20 ათასამდე. ბილეთების შეძენა შეიძლება კონსერვატორიაში დილის 11—საათიდან—2 საათამდე და საღამოს 7 საათიდან.

— **დრამატიული სტუდიის ლატარია.** დღეს და ხვალ ქალაქს დაივლიან საგანგებო კომისიები განავრცელებლად აკ. ფაღავს ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდიის ლატარიის ბილეთებისა. თითო ბილეთი ღირს 10.000 მან. მოგება არის ერთი 25.000.000 მ. ორი თითო 10.000.000 მ. სამი თითო 5,000.000 მ. და 15 თითო 1,000.000 მან. სასცენო განათლება ჩვენთვის იმდენად საჭიროა,, რომ ყველამ ამ საჭირო და სასარგებლო საქმეს ხელი უნდა შეუწყოს ხსენებული ლატარიის ბილეთების შეძენით.

— **გ. ტაბიძის საღამო.** ივნისის 25-ს გაიმართება მგოსან გალაკტიონ ტაბიძის საღამო; საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ხელოვნების საუკეთესო ძალები.

## მიშა ბერიძე

ულმობელმა სიკვდილმა კვლავ შეიწირა ერთი ჯანით და ღონით აღსავსე ახალგაზრდის სიცოცხლე, სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომელიც ყველა იმათთვის, ვინც მას იცნობდა, ძვირფასი იყო და მუდამ მათ გულში დაუვიწყარი დარჩება.

გარდაიცვალა ადამიანი, რომლის გულიც მუდამ სავსე იყო წრფელი, ამხანაგურ, თბილ დაუშრეტელ სიყვარულით, რომელიც განსახიერება იყო თავდადებული მეგობრობის და ძმობის.

ყველა ვინც მას შეხვდებოდა ცხოვრების ბილიკებზე და გზა-ხვეულებზე, მისგან წაიღებდა თბილ და წრფელი მეგობრობის გრძნობებით აღსავსე გულს.

მიშა ყველასათვის ძვირფასი იყო, მიშა ყველას გულწრფელად გვიყვარდა, მიშას ყველა გულწრფელად ვუყვარდით.. და დღეს ის აღარ არის, შესწყდა მისი კეთილშობილური გულისცემა, მისი ძვირფასი სახე მიეფარა გამოუცნობელობის და საიდუმლოების მხარეს. ის მოგვწყდა ჩვენ და თან წაიღო ჩვენი წრფელი სიყვარული და უკვდავი ხსოვნა.

ის მოკვდა, მაგრამ მისი სახელი ყველა მის მეგობრების და ამხანაგების გულში მუდამ უკვდავი იქნება, მისი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი.

იძინე ტკბილად ჩემო მიშა! მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლო ქვეყნის მიწის კალთები, იმ ქვეყნის, რომელიც შენ უსაზღვროდ გიყვარდა და რომლის კეთილდღეობისთვის მუდამ იბრძოდი.

შენ მე, შენგნით გულგამთბარ და მეგობრულად შეყვარებული ვერასოდეს ვერ დაგივიწყებ და შენს ხსოვნას ჩემთვის ძვირფასს და დაუვიწყარს მუდამ გულში ვატარებ. მშვიდობით... მშვიდობით ჩემო დიდი ხნის მეგობარო!..

ი. ვადაჭკორია.

## ელენე ანტონოვსკი

(ნეკროლოგი).

წარსულ თებერვალს 23, ტფილისში გარდაიცვალა და დასაფლავებულ იქმნა ისე, რომ საზოგადოებას არც-კი შეუტყვია, ელენე ანტონოვსკისა, ქალი ქაიხოსრო ბრომლეისა, შობიდან 80 წლისა.

შესაძლებელია, ზოგს ეუცნაუროს კიდეც, რომ სამი თვის შემდეგ ვსწერთ ადამიანის ნეკროლოგს. მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენის მახლობელ მეგობრების სიკვდილს ხან ორის თვის შემდეგ გავიგებთ და მოხდება ისეც, რომ სულაც ვერ გავიგოთ.

ელენე ანტონოვსკისა ისე გარდაცვლილა და ისე დაუსაფლავებიათ, რომ ქრისტიანული გარდა არავის გაუგია მისი გარდაცვალება. თუმცა გვიანაა, მაგრამ მაინც ჩვენს წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია მოკლედ მაინც აღვნიშნოთ განვლილი ცხოვრება და პიროვნება.

ქართულ ქალებში ელენე ანტონოვსკისა ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ... მოვიდნენ ... სთან პეტერბურგს თავშესაფარსა და შესაკრებელი ბინასა, იმის ბინაზე იყო ხოლმე საწყალი სხვა და სხვა ალკოჰოლური ბრომურებისა, აქედან ერცელდებოდა და გადადიოდა ხელიდან ხელში. ვსთქვათ სადმე გასაგზავნი იყო დევნილი ახალგაზრდა, — ელენეს უნდა მოეგროვებინა ფული და გაესტუმრებინა გასასტუმრებელი. თუ კი ელენემდე მოაღწევდა ვინმე, მერე დაარხეინებული იყო, რომ არაფერი გაუჭირდებოდა.

ელენესთვის საკმარისი იყო თვეში 15—20 მანეთი ეშოვნა, რომ აქედან თუ უმეტესი ნაწილი არა, ნახევარი მაინც ქართველ სტუდენტების აღზრდისათვის მოეხმარებინა, ან დაჭერილთა და ციმბირში მყოფთა შესაწევრად გადაედო.

ბუნებისაგან უსაზღვრო გულკეთილობით დაჯილდოვებული, პირველ დროის ქრისტიანს მოგაგონებდათ ერთადერთ დევნილთათვის ზრუნვაში გართული და მოფუსფუსე ელენე. ტკბილის მოსვლაც კი არ იცოდა; რაც უნდა ეწყენინებინა ვისმე, უეჭველად უნდა შეენდო, უნდა ეპატიებინა, თვითონ საწყენი არავისთვის ემეტებოდა ყველას მამადაც და ყველასათვის მზრუნველს.

ამ საერთო ხასიათის საზრუნავს გარდა, ელენე ანტონოვსკისა კიდევ პოულობდა თავისუფალ დროს თავისი წვლილი ქართულ მწერლობაშიაც შეეტანა. სთარგმნა ჩვენის სცენისათვის რამდენიმე პიესა, „ცნობის ფურცელსა“ და „ნაკადულში“ ხშირად შეხვდებოდით ამ ორმოცი ათის წლის მანძილზე მის ნათარგმნ მოთხრობებს.

განსვენებულს სწავლა-განათლება მიღებული ჰქონდა ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში. გათხოვილია ვინმე ანტონოვსკიზე, მაგრამ ვერ შეეგუებოდა. ბავშვები არ ჰყავდა და შვილი ჰყავდა თავისი... მამა მისი ქაიხოსრო ბრომლეი ძველის დროის ფერშალი იყო, მაგრამ უფრო ექიმ ქაიხოსროდ იყო ცნობილი, ელენე ძლიერ შვილი არ ესვა, მაგრამ მთელი თავისი დედობრივი სიყვარული ნაზი გრძნობა ამ შვილობის კეთილშობილმა და სულმნათმა ადამიანმა სხვათა შვილებს გადაალია..

საუკუნოდ იყავ ხსენება შენი, ჩვენო ტკბილო ელენე, ყველას მფარველო და მომადგე.

თ. ს. ხოკია.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა საყურადღებოდ.**

**დადგენილება.**

1. აბრეშუმის პარკ-ს, ძაფის, ნათაურას, (ფრიზონი) და ნაბოლარას (ყუჯ ს) დამზადება-შესყიდვის ან პარკის ძაფად ამოხვევის უფლება აქვს მხოლოდ იმ ადგილობრივ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან.

2. მეაბრეშუმემ პარკის მოსავალი უნდა ჩააბაროს მთავრობას და, როგორც მონაწილე პარკის ოპერაციის მოგებაში, მიიღებს ფასის სახით გირვანქა პირველ ხარისხის ნედლ პარკზე ნახევარ არშინამდე ფართლეულობას და ფულად ათი ათას მანეთს, ან სადაც საჭირო იქნება ფართალს, ერთ გირვანქა სიმინდს და ხუთი ათას მანეთს, ერთ ფუთზე ორ არშინამდე ფართლეულობას და ოთხას ათას მანეთს, ან სიმინდს ერთ ფუთს და ორ არშინამდე ფართლეულობას და ორას ათას მანეთს ფულად.

3. მეორე ხარისხის გირვანქა ნედლ პარკზე ნახევარ არშინამდე ფართლეულობას, ფულად შვიდი ათას მანეთს. თუ მიიღებს გირვანქა სიმინდს, იმ შემთხვევაში ფულად ეძლევა ორი ათასი მანეთი.

4. პარკის მიმღებ-დამამზადებელ ორგანიზაციებს ევალებათ იქონიონ მთავრობის მიერ გამოცემული საკვიტანციო წიგნაკები, რომლიდანაც მეაბრეშუმეს ეძლევა პირადი კვიტანცია ჩაბარებული პარკისა და მიღებულ საქონლის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით.

5. მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ან სხვა დამატებითი ავანსს ვერ მიიღებენ.

6. ნედლი პარკის მიღება-შეგროვება მოხდება ქალაქ ტფილისში, (მუხრანის საბრეშუმო სადგურთან), თელავში (პროფკავშირთან), სიღნაღში (პროფკავშირთან), ლაგოდეხში (კოოპერატივთან). მცხეთაში (კოოპერატივთან), ახალქალაქში (კოოპერატივთან), ქუთაისში (საბრეშუმო სადგურთან), ზესტაფონში (პროფკავშირთან), გორში (კოოპერატივთან), ბაღდადში (კოოპერატივთან), ხონში (კოოპერატივთან), ლანჩხუთში (კოოპერატივთან), სამტრედიაში (კოოპერატივთან) და ცენტრალურ საწყობში ძმ. სიხარულიძეთან), ტობანიერში (კოოპერატივთან), ვანში (კოოპერატივთან), საჯავახოში (კოოპერატივთან), სუჯუნა-სენაკი (კოოპერატივთან), ჩოხატაურში (კოოპერატივთან)-ოზურგეთში (კოოპერატივთან) ნატანებში (კოოპერატივთან), სუფსაში (კოოპერატივთან), ლანჩხუთში (კოოპერატივთან), წესში (რაჭა) ვანო ჭეიშვილთან), ცაგერი (ლეჩხუმი) აგრონომ ციციშვილთან და ინსტრუქტორ ედ. წერეთელთან, აბაშაში (კოოპერატივთან), ბანძაში (კოოპერატივთან), ახალსენაკში (კოოპერატივთან). ზუგდიდში (პროფკავშირში) და ხონში (ინსტრ. კორტავასთან).

7. იმ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთაც მთავრობისგან არ აქვთ დავალებული პარკის მიღება-დამზადება ან ძაფად ამოღება სასტიკად ეკრძალებათ პარკისა და ძაფის შესყიდვა, ვინაიდგან პარკზე და აბრეშუმის სხვა ნაწარმოებზე მონოპოლია გამოცხადებულია.

8. ამ დადგენილების მე 5 მუხლის დამრღვევნი გადაეცემიან რევოლიუციონურ ტრიბუნალს, ხოლო შეძენილი პარკი, ძაფი და ნათაურა ჩამოერთმევათ უფასოდ.

საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარი ერქომაიშვილი.

სამიწადმოქმედო კომისარი ს. თოდრია.

შინაგან საქმეთა კომისარი ა. გეგეჭკორი.

მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი საგანგებო რწმუნებული ი. ქუთათელაძე.

**დაიკარგა** აღრიცხვის ბარათი ალექსანდრე (ფილიპე) პავლეს ძე ბარამიძის სახელობაზე მოცემული მეხუთე უბნის კომისარიატისაგან რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 264

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი